დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ ბათუმის №7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429344

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30
საფოსტო ინდექსი	6004
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	batumi7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0422277429

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000683286; 08.06.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 21-22 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა
4	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა
5	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საბაზო საფეხური	რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა

	პროგრამა			
6	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30, ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 08 ივნისის ბრძანება MES 6 26 0000683286- ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლაში, მისამართი: ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30 ა/წლის 21 და 22 ივლისს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტებმა შეაფასეს მეორე სტანდარტი თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების-მიხედვით. შეფასება განხორციელდა როგორც ქართულ, ისე რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი ადგილზე ვიზიტის ფორმატში განახორციელეს ქალაქ ბათუმში, ხოლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა შეფასების პროცესში მონაწილეობა დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით მიიღეს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შიდა რეგულაციები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სხვა პირებთან. ასევე განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის, სასწავლო გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- სკოლაში წახალისებულია პედაგოგთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მისი ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ამის მაგალითია მასწავლებლის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომი „მეორადი მასალების გამოყენება ბიოლოგიური სასწავლო მოდელების შექმნისათვის“, რომელიც ასახავს გარემოსდაცვითი განათლებისა და პრაქტიკული სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ეკოლოგიური ცნობიერების, შემოქმედებითი აზროვნებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების კულტურის განვითარებას, ასევე სკოლის პროფესიული გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გაზიარებას, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს.
- სკოლა სისტემატურად ორგანიზებას უწევს საქველმოქმედო აქციებს, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის, მოხალისეობის, თანადგომისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას, ამავდროულად აძლიერებს სკოლისა და თემის თანამშრომლობას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1450(ორ ცვლაში)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2.2.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დამატებით განსაზღვროს სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების პროცესი. აღნიშნული მექანიზმის არსებობა ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების შესრულების პროგრესის დროულ შეფასებას, გამოვლენილი გამოწვევების იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	ექსპერტთა რჩევაა, ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა ისე, რომ მასში ერთმნიშვნელოვნად იყოს ასახული თითოეული თანამშრომლის ადგილი მართვის სისტემაში, მისი უშუალო ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულების ჯაჭვი, იმგვარად რომ უზრუნველყოფილ იქნას მმართველობითი იერარქიის სიცხადე.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1 .	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საბუნებისმეტყველო** • *საბაზო საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე ბიოლოგიის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში თემებში ასახოს ქვეცნებები აგრეთვე გასწორდეს სამიზნე ცნებება - "სტრუქტურა და ფუნქცია"-ს ნაცვლად აისახოს "სტრუქტურა, ფუნქცია". მე-8 კლასის კურიკულუმში ჩასწორდეს მეორე თემის დასახელება „ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის" ნაცვლად აისახოს „საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა"; მე-9 კლასის კურიკულუმში ამოსაღებია სამიზნე ცნება - „კვლევა", ჩასწორდეს მეორე და მესამე თემების დასახელება და აისახოს „ადამიანის შეგრძნების ორგანოები;" და „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა"; ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმები მოვიდეს შესაბამისობაში სკოლის ერთიანი კურიკულუმის ჩარჩოს ფორმაში, აგრეთვე აისახოს თემების ფარგლებში სამიზნე ცნებები და მათ მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებები, მე-7 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები*

		გადანაწილდეს სამი თემის მიხედვით - „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“; მე-9 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“ და „სტატიკა და დინამიკა“. • *საშუალო საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების თემებში აისახოს ქვეცნებები აგრეთვე გასწორდეს სამიზნე ცნება - "სტრუქტურა და ფუნქცია"-ს ნაცვლად აისახოს "სტრუქტურა, ფუნქცია"; მე-11 კლასის კურიკულუმში მეორე თემაში აისახოს გამოტოვებული სამიზნე ცნება „ბიომრავალფეროვნება“; ფიზიკის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების თემებში აისახოს ქვეცნებები;* • *სკოლამ ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს დიზაინში განიხილოს კონტექსტ-მაგალითის სვეტის არსებობა, და ბოლო სვეტს დაერქვას - ,,სასწავლო რესურსები", სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება ძირითადი და დამხმარე რესურსები.* **საზოგადოებრივი მეცნიერებები** *საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში დაამატონ კიდევ ერთი სვეტი კონტექსტ-მაგალითებისათვის. აღნიშნული გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესს და დაგეგმილ კურიკულუმებს მეტად ორიენტირებულს გახდის მოსწავლესა და მის შესაძლებლობებზე.* **ესთეტიკური აღზრდა** *ქართული სექტორის მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სწორად ასახონ დავალების იდეა და შესაბამისად განსაზღვრონ კრიტერიუმები.* **სახელმწიფო ენა** *ქართული სექტორის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს კონტექსტ-მაგალითების გრაფა,კრიტერიუმების ნაცვლად. სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (ქართული სექტორი: VII,VIII,IX,X , რუსული სექტორი: V,VII, IX,X, XI) კურიკულუმი,რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის და ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია , ყველა კლასის კურიკულუმში,ორივე სექტორზე, მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.*

		მათემატიკა • *სასურველია მათემატიკის კათედრამ, **რუსულ სექტორზე, დაწყებით საფეხურზე II-V-VI კლასების, საბაზო და საშუალო** საფეხურის კლასების, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნებისათვის შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას გამოკვეთონ, რა პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები.* • *ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზონ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** • *დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ქართულ სექტორზე ბუნებისმეტყველების საგნის მე-3 კლასის კურიკულუმში დაჯგუფდეს ყველა კითხვა თანმიმდევრულად, ჯერ პირველ თემაში - „მზის სისტემა“, შემდეგ მეორე თემის - „ჩემი ქვეყნის ბუნება“; მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - “დედამიწა” და “ციკლური პროცესები ბუნებაში”; მე-6 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემის დასახელება - „ნარევები და მათი დაყოფის ხერხები“-ს ნაცვლად აისახოს „ნარევები და მათი დაყოფის გზები“.* • *დაწყებითი საფეხურის პროგრამაში რუსულ სექტორზე პირველი კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: - “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიური ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”; მე-3 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიური ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”, აგრეთვე, თითოეულ თემაში აისახოს ხუთივე სამიზნე ცნება, მე-4 კლასის*

		კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: "სივრცეში ორიენტირების", "გარემოს დაცვის", "მოვლენის" ნაცვლად აისახოს - "გეოგრაფიური ობიექტი", "მდგრადი განვითარება", "მოვლენა, პროცესი", გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - "დედამიწა" და "ციკლური პროცესები ბუნებაში"; მე-6 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემის დასახელება: „ ნარევები და მათი დაყოფის ხერხები"-ს ნაცვლად აისახოს „ნარევები და მათი დაყოფის გზები"; • *დაწყებითი საფეხურის პროგრამის ორივე სექტორზე ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს დიზაინში განიხილოს კონტექსტ-მაგალითის სვეტის არსებობა, აგრეთვე, ბოლო სვეტს დაერქვას - ,,სასწავლო რესურსები", სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება ძირითადი და დამხმარე რესურსები.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** *სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დამატებული კრიტერიუმების სვეტში არსებული მონაცემები შესაბამისობაში იყოს სამიზნე ცნებებთან. კურიკულუმის ჩარჩოებს დაამატონ კონტექსტ-მაგალითების სვეტი. კურიკულუმის აღნიშნული ნაწილის არსებობა მნიშვნელოვნად ამარტივებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.* **სახელმწიფო ენა** *სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე, დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.* **მათემატიკა**

		სასურველია ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მათემატიკის კათედრაზე შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა საგნობრივ სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, ამისათვის ასევე კარგი იქნება მათემატიკის კათედრის დაწყებითების კათედრასთან თანამშრომლობა. *სასურველია ორივე სექტორის XII-XI-X-VIII-VI-V კლასის კურიკულუმებში, გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** *ქართულ სექტორზე სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმებში (III-IV კლასები) სრულყოფილად და ზუსტად აისახოს ეროვნული სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო კომპონენტი. კურიკულუმის სტრუქტურაში მკაფიოდ და სწორად იყოს გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემები და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამიზნე ცნებები.* *ქართულ სექტორზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში(II- კლასი) დააკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები.*
*ინდიკატორი N*2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	**საბუნებისმეტყველო** • *ორივე სექტორის საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის, ფიზიკის მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში; ორივე სექტორის საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში: სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მისი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.* **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სასწავლო რესურსები, (მათ შორის ლინკები) რომლებიც ჩაშენებულია საგნობრივ კურიკულუმებში გახადონ მეტად მრავალფეროვანი. **სახელმწიფო ენა** *სასურველია, ორივე სექტორის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა, რომლებიც შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა** • *ორივე სექტორზე სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმების (III-IV კლასი) გამდიდრება გამართულად მომუშავე ელექტრონული და ციფრული რესურსებით. ასეთი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ საკითხები და სრულად მიაღწიონ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.* • *სკოლის ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების 1-ელ-მე-6 კლასების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს მარტივი, რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.*
*ინდიკატორი N*2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა** • *დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორის , ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.*

ინდიკატორი *N2.1.2.5*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**საბუნებისმეტყველო** *ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან ან ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;* *ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.* *სასურველია, სკოლამ ორივე სექტორისათვის განიხილოს ყველა საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) და საგანმანათლებლო პროგრამის ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოდან შეფასების კრიტერიუმების სვეტის ამოღება.* **სახელმწიფო ენა** *სასურველია, ორივე სექტორზე შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე.* *სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების*

		რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე, ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **მათემატიკა** *სასურველია, ორივე სექტორის სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.* *მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.* *შეფასების კრიტერიუმები ზოგ თემაში ძალიან ვრცელია, მაგალითად, VIII კლასის კურიკულუმებში, უმჯობესია გამოიყოს აუცილებელი შედეგები (შეირჩეს 3-4 კრიტერიუმი), დამატებითი შედეგები, ასე შეფასებაც გაცილებით გამარტივდება.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა** *დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე, ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს დაწყებითი საფეხურის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი- კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მომზადდეს ნაწილობრივ მე-5 (მე-2 სემესტრის) და მე-6 კლასებისთვის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ინდიკატორების საფუძველზე.*

		დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისთვის შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის სამიზნე ცნებებზე.
*ინდიკატორი N*2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** • ***(ეხება ორივე სექტორს)*** *სასურველია შემცირდეს მე-11 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული კომპლექსური ხასიათის დავალებათა რაოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, განხორციელების პროცესში აუცილებლად დადგება დროის დეფიციტის პრობლემა.* • *ასევე, უმჯობესია მოსწავლეთა მცირე ასაკის გათვალისწინებით შემცირდეს დამატებით გადმოგზავნილ საგან ,,მე და საზოგადოების" (მე-3 კლასი) კურიკულუმში კომპლექსური ხასიათის დავალებათა რაოდენობა. **(ქართული სექტორი)***
*ინდიკატორი N*2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *სკოლის საგაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში საგაზო საფეხურის პროგრამაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის სრულყოფილების მიზნით შესაბამის დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია. ამის გარდა დოკუმენტში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი.* **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **(ეხება ორივე სექტორს)**

		• სასურველია, რომ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად კონკრეტული და ეროვნულ-სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს მეტად მორგებული. • კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებული კრიტერიუმების სვეტში შეტანილი მასალა, მსგავსად დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტაციაში არსებულისა მაქსიმალურად დაუახლოვონ ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამგვარად, შეფასების პროცესი გახდება მეტად მიზნის შესაბამისი. **მათემატიკა** • *სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.*
*ინდიკატორი N*2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო** • *საგაზო საფეხურის ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-7 (I, II, V თემების ფარგლებში), მე-8 (IV თემის ფარგლებში), მე-9 კლასების (II, III, IV თემების ფარგლებში); ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსებით, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით, (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა.* • *საშუალო საფეხურზე ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-11 და მე-12 , ფიზიკის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით სწავლების ენების მიხედვით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები,*

		საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. • *სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის ორივე სექტორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი წესი.* **სახელმწიფო ენა** *სასურველია, ორივე სექტორზე სკოლამ კურიკულუმში ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.*
*ინდიკატორი N*2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **(ეხება რუსულ სექტორს)** *სასურველია, რომ ყველა კლასის, ყველა საგნის კურიკულუმებში დამატებით ჩაშენებული იყოს ლინკები, რომლებიც მეტად იქნება მორგებული რუსულენოვან სექტორს.* **ესთეტიკური აღზრდა** *სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია.* **სახელმწიფო ენა** *სასურველია, კათედრის დონეზე ორივე სექტორისათვის დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.*

ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პერმანენტულად შეივსოს: ახალი აღჭურვილობით, ქიმიური რეაგენტებით და სხვადასხვა მოწყობილობებით ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიული და პრაქტიკული საბუნებისმეტყველო საგნების კანონების ილუსტრირებისთვის. დამატებით შეიძინოს თვალსაჩინო მასალები, მაგალითად, ცხრილები, პლაკატები, სქემები, ატლასები, ვიდეომასალები ქართულ და რუსულ ენებზე; სკოლამ დაგეგმოს სპეციალიზებული ლაბორატორიული ავეჯის შეძენა, ლაბორატირიულ მაგიდებზე დამონტაჟდეს ნიჟარები ონკანიბით შესაბამისი და კანალიზაციის სისტემით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2026 წლის 17 აგვისტოს MES 7 26 0001058640 კორესპოდენციით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ უკვე აღმოფხვრა ხარვეზი და მიუთითა დაწესებულების ვებგვერდის ბმული. წარმოდგენილი პოზიცია გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას და ექსპერტთა შეფასება „სრული შესაბამისობით“ შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:
ინდიკატორი N 3.6.3.4-სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, თავისუფალი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე აქტიური მოქალაქის აღზრდაზე, რაც თანხვედრაშია ეროვნული მიზნების პრინციპებთან. ხედვაში კი აქცენტი გაკეთებულია თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობასა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რაც ემსახურება ინკლუზიური, პასუხისმგებლიანი და ღირებულებებზე დაფუძნებული მოქალაქის აღზრდას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი, თავისუფალი, შემოქმედებითი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნების აღზრდაზე, რაც ადასტურებს, რომ სკოლა სასწავლო პროცესს განიხილავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშემწყობ გარემოდ. ამასთან, ხედვა ითვალისწინებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სოციო-კულტურული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერი და ინკლუზიური სასკოლო სივრცის საფუძველს. აღნიშნული მიდგომები ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ როლს აღიქვამს, როგორც სასკოლო საზოგადოების პიროვნულ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ გარემოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის მეორე მუხლის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მეთოდოლოგიის მეექვსე მუხლის თანახმად, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენლისგან. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოადგინა სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/157 ბრძანება „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ“. სამუშაო ჯგუფი შექმნილია მოეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად და ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას დაგეგმვის პროცესში. დაწესებულებამ ვიზიტისას ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმები, რითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და წარმოადგენს სკოლის განვითარების საფუძველს. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ სკოლის ფილოსოფია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების პროცესში სამეურვეო საბჭოს ჩართულობა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობა მიუთითებს, რომ სასკოლო საზოგადოებამ გაიზიარა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სწორედ მათზე დაყრდნობით განისაზღვრა სკოლის განვითარების გრძელვადიანი მიზნები და პრიორიტეტები. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 ოქტომბრის N13 ოქმი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების თაობაზე. ასევე წარმოდგენილი იქნა პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 13 სექტემბრის N1 ოქმი 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობას. შესაბამისი ბანერი თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის ყველა სართულზე, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს მუდმივად აცნობს დაწესებულების ძირითად პრინციპებსა და განვითარების მიმართულებებს. ამასთანავე, მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია

სკოლის ვებგვერდზეც, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის ხელმისაწვდომობას როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების თანახმად, სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/157 ბრძანება „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 ოქტომბრის N13 ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 13 სექტემბრის N1 ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის მეორე მუხლი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების ასახვისთვის საჭირო მექანიზმს, კერძოდ, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის განვითარების მიმართულებების განსაზღვრის პროცესში, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას რეალურ საჭიროებებსა და დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებზე დაყრდნობით. მეხუთე მუხლის თანახმად, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში გათვალისწინებული არიან დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 ოქტომბრის N13 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ ბათუმის №7 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური ხასიათის და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული დოკუმენტი ეფუძნება სკოლის საჭიროებების ანალიზს, რაც დასტურდება SWOT-ანალიზის გამოყენებით. დოკუმენტში გამოვლენილია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები და შესაძლო საფრთხეები, რომელთა გათვალისწინებით განისაზღვრა განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები, რომლეიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსების განვითარება;

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის განვითარება;
- ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა.

დოკუმენტში შვიდივე სტრატეგიული მიზნისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რომლებიც განსაზღვრავს მიზნების მიღწევის კონკრეტულ მიმართულებებს. ამოცანები ლოგიკურად უკავშირდება დასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულებამ დოკუმენტის შემეუშავების პროცესში იხელმძღვანელა მეთოდოლოგიური დოკუმენტით და სამუშაო პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი. ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ სამუშაო პროცესში ჩართულ პირებს, რომლებმაც დაადასტურეს მუშაობის პროცესში აქტიური ჩართულობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 სექტემბრის N2 ოქმით და ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთწლიანი პერიოდისთვის და ასახავს სკოლის მიმდინარე საჭიროებებისა და განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად დაგეგმილ აქტივობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი განვითარების მიმართულებების კონკრეტულ წლიურ აქტივობებად გარდაქმნას. სამოქმედო გეგმის შემუშავება ეფუძნება სკოლის განვითარების ციკლურ მიდგომას და ხელს უწყობს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიმართულებების პრაქტიკულ განხორციელებას. თითოეული დაგეგმილი აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და განხორციელების პროცესის მართვას. გეგმა ასევე მოიცავს შესრულების ვადებსა და საჭირო რესურსებს, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის არსებულ შესაძლებლობებთან და განვითარების საჭიროებებთან. დაგეგმილი ღონისძიებები რეალისტურია და მათი განხორციელება შესაძლებელია სკოლის ადამიანური, მატერიალური და ორგანიზაციული რესურსების გათვალისწინებით. ამასთან, აქტივობების შესრულების შეფასებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ინდიკატორები, რაც ქმნის განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგისა და შედეგების შეფასების შესაძლებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/157 ბრძანება „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 ოქტომბრის N13 ოქმი;
- წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 ოქტომბრის N13 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ ბათუმის №7 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 სექტემბრის N2 ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლის მე-11 მუხლი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და

შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულება სტრატეგიული გეგმის შეფასებას ახორციელებს შემუშავებიდან 3 წლის შემდგომ, ხოლო სამოქმედო გეგმას ყოვლწლიურად. მონიტორინს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო წერილობითი ანგარიშების საფუძველზე და აქტივობებს ანიჭებს სესრულების სტატუსს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დამატებით განსაზღვროს სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების პროცესი. აღნიშნული მექანიზმის არსებობა ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების შესრულების პროგრესის დროულ შეფასებას, გამოვლენილი გამოწვევების იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულება, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შეფასება, რაც მიუთითებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის პრაქტიკის არსებობაზე. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, რაც განპირობებულია სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდით და მისი შესრულების შეფასების შესაბამისი ციკლის არ დადგომით. თუმცა სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შედეგების შეფასების პრაქტიკა ქმნის საფუძველს სტრატეგიული მიზნების შესრულების შემდგომი მონიტორინგისა და შეფასების პროცესის განხორციელებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

დაწესებულება უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 მუხლით განსაზღვრულია საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ქმნის განხორციელებული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების ხელმისაწვდომობის საფუძველს. აღნიშნულის შესაბამისად, გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 მუხლის თანახმად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები წარმოადგენს სკოლის შემდგომი განვითარების დაგეგმვის მნიშვნელოვან საფუძველს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული შედეგების ანალიზი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გამოვლენილი საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის. შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია სტრატეგიულ დოკუმენტებში ცვილების განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N01-03/156 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- გასული წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის 01-03/31 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული საშტატო განრიგით გათვალისწინებული თითოეული პოზიციის ფუნქციები,

უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი დოკუმენტები უზრუნველყოფს დასაქმებულთა ფუნქციური მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას და შესაბამისობაშია სკოლის ორგანიზაციულ მოწყობასთან. სკოლის ვებგვერდზე ასევე განათავსებულია დაწესებულების სტრუქტურის ამსახველი სქემა, რომელშიც ასახულია ყველა სტრუქტურული ერთეული და პოზიცია, თუმცა ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა საჭიროებს დახვეწას იმგვარად, რომ მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად აისახოს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომლის ადმინისტრაციული დაქვემდებარება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა ისე, რომ მასში ერთმნიშვნელოვნად იყოს ასახული თითოეული თანამშრომლის ადგილი მართვის სისტემაში, მისი უშუალო ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულების ჯაჭვი, იმგვარად რომ უზრუნველყოფილ იქნას მმართველობითი იერარქიის სიცხადე.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს შორის მკაფიოდ არის განსაზღვრული. თითოეული პოზიციის ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები გაწერილია შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რაც უზრუნველყოფს მოვალეობების ეფექტიან გადანაწილებასა და თანამშრომელთა კოორდინირებულ საქმიანობას. ფუნქციების განაწილება შეესაბამება სკოლის ორგანიზაციულ მოწყობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობისა და დამხმარე სერვისების ეფექტიან განხორციელებას. პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა ამცირებს ფუნქციების გადაფარვის რისკს, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ანგარიშვალდებულებას და ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის 01-03/31 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. კერძოდ, დაწესებულება პერსონალის მართვის საკითხებს არეგულირებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით". პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, საქმიანობის შეფასების, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურები რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სკოლის შიდა დოკუმენტებით. სკოლის ადამიანური რესურსების მარტვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შინაგანაწესში განსაზღვრულია პერსონალის უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო შრომითი ურთიერთობები ფორმდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ხელს უწყობს სამართლიანი, გამჭვირვალე და თანმიმდევრული საკადრო პოლიტიკის განხორციელებას, უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტიან მართვას და ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის წინაპირობას. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია როგორც არსებული, ისე მოსალოდნელი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ რეაგირებაზე. პოლიტიკა მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პერსონალის პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერის, ეფექტიანობის გაზრდისა და შესაძლო გამოწვევების პრევენციისკენ. დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახორციელებს პერსონალის საჭიროებების პერიოდულ შეფასებას, გეგმავს პროფესიული განვითარების აქტივობებს, უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესს, ხოლო გამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების შემთხვევაში იყენებს შესაბამის ინტერვენციულ ღონისძიებებს. აღნიშნული ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას, პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სასწავლო პროცესის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ზოგადად უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. შერჩევის პროცესი ეფუძნება განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და კანდიდატის პროფესიულ შესაბამისობას. პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია ობიექტურობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და გამჭვირვალეობის პრინციპები, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური თანამშრომლების შერჩევას. დაწესებულებამ ვიზიტისას, წარმოადგინა სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 21 ივლისის N01-03/118 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც მოიცავს კონკურსის გამოცხადების წესსა და პირობებს; კანდიდატთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას; განაცხადების მიღებისა და განხილვის პროცედურას; კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმებსა და ეტაპებს; საკონკურსო კომისიის/პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას; კანდიდატთა შეფასებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას; აპელაციის წესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის 01-03/31 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული საშტატო და არასაშტატო ნუსხით განსაზღვრული თითოეული პოზიციისთვის. დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის ექიმის პირადი საქმე. დადგინდა, რომ სკოლის ექიმს აქვს პედიატრის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და სახელმწიფოს მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს პედიატრიული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის განათლება, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციებთან, რაც უზრუნველყოფს მათი ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიან შესრულებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა. დადგინდა, რომ დაწესებულებაში მართვის პროცესები ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი დაწესებულების განვითარების მნიშვნელოვან პროცესებში, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-დაგეგმვაში. თანამშრომელთა

ჩართულობა ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გაზიარებას, ეფექტიან კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას. დაწესებულებაში შექმნილია გარემო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მოსაზრებების გათვალისწინებასა და გუნდური გადაწყვეტილებების მიღებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-16 მუხლი ეხება თანამღომლების მოტივირების მექანიზმებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა აღიარებას და მოტივირებას, ფასიანი საჩუქრების თუ სიტყვიერი აღიარების გზით. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა დაწესებულებაში წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების არსებული პრაქტიკა. დადგინდა, რომ სკოლას აქვს თანამშრომელთა მიღწევების, ინიციატივებისა და წარმატებული საქმიანობის აღიარების მექანიზმები. პერსონალის წარმატებული გამოცდილება და ეფექტიანი პრაქტიკა გაზიარებულია კოლეგებს შორის თუ სკოლის სოცალურ ქსელში, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებასა და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 21 ივლისის N01-03/118 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესი;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის 01-03/31 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების, საჭიროებების გამოვლენისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვის პროცედურები. დოკუმენტით გათვალისწინებული მიდგომები უზრუნველყოფს პერსონალის კომპეტენციების შეფასებას, განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლას აქვს ასევე წინარე პრაქტიკა, სკოლაში ფუნქციონირებდა ხარსიხის მართვის გუნდი, რომელიც ზრუნავდა პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელშიც დეკლარირებულია, რომ სკოლა გეგმავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებს გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სკოლას აქვს პერსონალის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო მიზნების ეფექტიანად განხორციელებას. სკოლის მეორე სტრატეგიული მიზანი არის ადამიანური რესურსის განვითარება. სკიოლის 2025-2026 წლის სამოქედო გეგმა მოიცავს მიზნის მიღწევისთვის საჭირო აქტივობებს და პერსონალის განვითარებისთვის საჭრო ღონისძიებები ინტეგრირებული აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის პრაქტიკა. დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას, ქმნის შესაძლებლობებს მათი კომპეტენციების გაუმჯობესებისა და პროფესიული პოტენციალის რეალიზებისთვის. პერსონალის კარიერული ზრდის მხარდაჭერა ხორციელდება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ჩართულობის, გამოცდილების გაზიარების და შესაბამისი

შესაძლებლობების შეთავაზების გზით, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციისა და პროფესიული განვითარების ზრდას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის მე-9 მუხლი არეგულირებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში გაწერილია კათედრის თავმჯდომარეების და დირექტორის მოადგილის ფუნქციები ახალი პერსონალის სოციალიზაციის პროცესში. ანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის მისიის, ღირებულებების, შიდა რეგულაციებისა და სამუშაო პროცესების შესახებ, რაც ხელს უწყობს მათ ეფექტიან ჩართვას სასკოლო საქმიანობაში. სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი გარემო, სადაც ხელშეწყობილია კოლეგებს შორის კომუნიკაცია, გამოცდილების გაზიარება და გუნდური მუშაობა, რაც უზრუნველყოფს პერსონალის წარმატებულ ინტეგრაციას ორგანიზაციულ კულტურაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შეფასდა პერსონალის განვითარების ხელშემწყობი ინიციატივების წახალისების პრაქტიკა. დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს, მათ შორის პროფესიულ აქტივობებში ჩართულობას, ახალი მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარებას. სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის მოტივაციას, თვითგანვითარებასა და პროფესიული შესაძლებლობების გაფართოებას. თანამშრომელთა ინიციატივები გათვალისწინებულია სკოლის განვითარების პროცესებში და მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან, რაც დასტურდება სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- პერსონალთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N 01-03/198 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 20 ივლისის N 01-03/116 ბრძანება) დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA ციკლს და მოიცავს ოთხ ეტაპს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას. პირველ ეტაპზე იგეგმება შეფასებისა და რეაგირების პროცესები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება, იდენტიფიცირდება გასაუმჯობესებელი საკითხები და ხდება შესაბამისი რეაგირება. მესამე ეტაპზე ფასდება განხორციელებული ცვლილებების შედეგები და გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობა. მეოთხე ეტაპზე კი მიღებული

შედეგების საფუძველზე ხორციელდება პროცესების დახვეწა და საჭირო დოკუმენტაციისა და ინსტრუმენტების განახლება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N 01-03/198 ბრძანებით (ცვლილება 2026 წლის 20 ივლისის N 01-03/116 ბრძანება) დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მეოთხე მუხლი მოიცავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს როგორც მმართველობით, ისე ძირითად და დამხმარე პროცესებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/194 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ქმნის სააპელაციო კომისიას. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/196 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეს ან მის მშობელს/მეურვეს უფლება აქვს იცნობდეს სკოლის ბიუჯეტსა და წლიურ გეგმას, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სკოლის ექიმის/ექთნის, ასევე ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მომსახურებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად მიმართონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს. გარდა ამისა,

უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიმართონ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს ან სასამართლოს. სკოლაში დასაქმებულ თითოეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დაცული შრომითი, სოციალური და სამართლებრივი უფლებებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N 01-03/198 ბრძანებით (ცვლილება 2026 წლის 20 ივლისის N 01-03/116 ბრძანება) დამტკიცებული სსიპ - ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/194 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/196 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 16 თებერვლის N 01-03/8 ბრძანებით დამტკიცებულია მშობელთან ურთიერთობის (კომუნიკაციის ტრატეგია) დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე კანონმდებლობით დადგენილიკონფედენციალურობის დაცვით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, (ელექტრონული ჟურნალი შეფასება, კომენტარი) მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, სოციალური ქსელის მეშვეობით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 მუხლით განსაზღვრულია ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები. ასევე სკოლა ატარებს გამოკითხვას, რათა მიიღოს ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისგან. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ინტერვიუში, სოციალური ქსელის საშუალებით იღებენ მშობლებისგან სხვადასხვა სახის

უკუკავშირს, რომელსაც იყენებენ საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ დასაქმებულ პირებსა და მშობლებს. როგორც გამოიკვეთა სკოლა აქტიურად მართავს შეხვედრებს და იწვევს მშობლებს როგორც დაგეგმვის ეტაპზე, ისე სხვადასხვა ღონისძიებებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 16 თებერვლის N 01-03/8 ბრძანებით დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის (კომუნიკაციის ტრატეგია) დებულება;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ჰყავს დარაჯი, მანდატურები, ექიმი. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა. სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე განთავსებულია - 17 ვიდეო კამერა, გარე პერიმეტრზე - 10. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის N12 ოქმით. სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის N01-03/215 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 30 დეკემბრის MIA 1 25 04387700 კორესპოდენცია. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2026 წლის 20 იანვრის MES 1 26 0000038854 კორესპოდენცია, რომლითაც დასტურდება რომ სკოლამ მიმართა უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობის შემოწმების თაობაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 18 მაისის MIA 3 26 01714052 კორესპოდენცია და სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის N227 აქტი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლის შენობა სრულ შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. თვითშეფასების განაცხადთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის

სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 22 იანვრის N000395726 დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ ქალაქ ბათუმში, ჰეიდარ აბაშიძის N30-ში მდებარე სკოლის შენობა-ნაგებობა უსაფრთხოა შემდგომი ექსპლუატაციისთვის . ვიზიტისას სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები“. სკოლას ჰყავს მოქმედი ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, კერძოდ სკოლის ექიმს აქვს სახელმწიფოს მიერ გაცენული სერტიფიკატი პედიატრიაში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ბრძანებით განსაზღვრული პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ყველა ინვენტარით და აღჭურვილობით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას ჰყავს

მანდატურები, რომელიც ახორციელებენ უსაფრთხოების კონტროლს და ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს და სისტემატურად ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაცვაზე. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს და ინტეგრირებულია როგორც სასწავლო, ისე აღზრდით პროცესში. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად. ამასთანავე, სკოლაში ინკლუზიური განათლების ფარგლებში დასაქმებული არიან სპეციალური მასწავლებლები და პირადი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, ხელს უწყობენ მათ სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას ურთიერთპატივისცემის, უსაფრთხო ქცევის, ბულინგისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე და ზრუნავენ თანასწორი, მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებაზე. სკოლა ორსექტორიანია და სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეებში ტოლერანტობის განვითარებაზე, რაც ასახულია კიდეც სკოლის ღირებულებებში. სკოლა რეგულარულად გეგმავს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო აქტივობებს, რომელიც მიზანმიმართულად არის ორიენტირებული მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, ემოციური კეთილდღეობისა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის უზრუნველყოფასა და არაქართულოენვანი მოსწავლეების ინტეგრაციაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 6 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად

სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, სამ სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისა და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. თითოეული სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესები და პროცედურები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პეროსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ბათუმის რესურსცენტრის 2025 წლის 17 ივლისის MES 7 25 0000880658 ბრძანებით სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ხოლო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N01-03/76 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულება. სკოლის საქმისწარმოებელთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს და ინფორმაციის განკარგვისას მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალურობას, უსაფრთხოებასა და მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებაში განსაზღვრულია ინფორმაციის მართვის წესები, მათ შორის მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაზიარების პროცედურები. წვდომა ინფორმაციაზე რეგულირდება უფლებამოსილების პრინციპით. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით დამტკიცებულია საქმისმწარმოებელი. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის: დირექტორი, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები“;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის N01-03/215 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 30 დეკემბრის MIA 1 25 04387700 კორესპოდენცია;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის MES 1 26 0000038854 კორესპოდენცია;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 18 მაისის MIA 3 26 01714052 კორესპოდენცია და სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის N227 აქტი;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 22 იანვრის N000395726 დასკვნა;
- ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ბათუმის რესურსცენტრის 2025 წლის 17 ივლისის MES 7 25 0000880658 ბრძანება;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N01-03/76 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულება;

- ექიმის პირადი საქმე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა განთავსებულია ქალაქ ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძის ქ, N30-ში. დაწესებულებას შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით N05.23.29.008. სკოლის საერთო ფართი შეადგენს 2433.85 კვ.მ.-ს. დაწესებულების ეზოში დგას ოთხსართულიანი შენობა: I სართული-614.16 კვ.მ; II სართული-602.52 კვ.მ; III სართული 608.95 კვ.მ; IV სართული 608.22 კვ.მ, რომელშიც განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ასევე ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა სართულზეა სველი წერტილები. სკოლის შენობა ახალ რეაბილიტირებულია-სპორტდარბაზი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ტექნოლოგიების ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება 39677 წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას აქვს მცირე ღია სპორტული მოედანი და

დახურული სპრტული დარბაზი სკოლის შენობაში. სკოლის ეზო კაპიტალურადაა შემოღობილი. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1450 მოსწავლე ორ ცვლაში. სკოლაში სწავლობს 1299 მოსწავლე. სკოლაში არის 25 საკლასო ოთახი, ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 805 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ორ ცვლაში. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 1450 მოსწავლე ორ ცვლაში ორივე სექტორზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N01-3/191 ბრძანებით სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი და თავალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლაში ასევე მოქმედებს დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ. ასევე სკოლის დირექტორის 2026 წლის 14 იანვრის N01-03/9 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ -ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება). სასკოლო საზოგადოებას შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს სკოლის ინფრასტრუქტურა საკუთარი განვითარებისა და სკოლის სასარგებლოდ. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფდეს მათი ეფექტიან, უსაფრთხო და თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. საერთო სარგებლობის სივრცეები (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სანიტარული კვანძები და სხვა) ფუნქციონირებს წინასწარ განსაზღვრული წესებისა და განრიგის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ -ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N01-3/191 ბრძანებით სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მოსწავლეები პედაგოგები აქტიურად სარგებლობენ წიგნებით, რაც დასტურდება მკითხველის ფორმულარებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, ფუნქციონირებს განსაზღვრული სამუშაო გრაფიკით და ქმნის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს. სკოლა ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების პერიოდულ განახლებასა და გამრავალფეროვნებაზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გამოყენების უნარების განვითარებას. ექსპერტებმა ვიზიტისას, გადაამოწმეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, თითეული წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკე წესის შესაბამისად. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები.

დადგინდა, რომ თითოეული წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას და პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოქმედი ლიფტი, შენობის ძირითადი შესასვლელი აღჭურვილია პანდუსით, ხოლო სპორტდარბაზის ჩასასვლელში დამაგრებულია გადმოსაწევი პანდუსი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება. სკოლაში ადაპტირებულია სველი წერტილები, მოწყობილია რესურსოთახი და უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და სასწავლო რესურსებით. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პირობები ხელს უწყობს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. შენობაში უზრუნველყოფილია შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში შექმნილია სასწავლო გარემო. არის ბიბლიოთეკა, მოწესრიგებული ეზო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციო კულტურულ განვითარებას. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის, ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობის ნახაზი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N01-3/191 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- დირექტორის 2026 წლის 14 იანვრის N01-03/9 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება);
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება;
- მკითხველის ფორმულარები;

- წიგნების აღრიცხვის ჟურნალი;
- ინვენტარიზაციის აქტები.

შეფასება:

○

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 27 პერსონალური კომპიუტერი, 136 ლეპტოპი, 20 პროექტორი, 3 ტელევიზორი, 5 ჭკვიანი დაფა. სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერით, პრინტერითა და ინტერაქტიული დაფით. რესურსოთახშიც განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში და თითოეულ კათედრის

ფარგლებში პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლა ზრუნავს არსებული ტექნოლოგიური რესურსების გამართულ ფუნქციონირებაზე, მათი პერიოდული განახლებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფაზე. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რაც ხელს უწყობს ციფრული უნარების განვითარებას და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტიან ინტეგრირებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N01-3/191 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- დირექტორის 2026 წლის 14 იანვრის N01-03/9 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლის ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება);
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- ინვენტარიზაციის აქტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 სექტემბრის N 01-03/64 ბრძანებით დამტკიცებულიც აქვს ,,საქმისწარმოების წესი“, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ,,საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge). შემოსული და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე, როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- გასული კორესპოდენციები;

- ბაზების ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ასევე იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდების საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლა ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულება იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა აქტიურად იყენებს Microsoft Forms -ს აპლიკაციას ელექტრონული გამოკითხვისთვის. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი პორტალზე skolebi.emis.ge. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა სკოლის ვებგვერდისა და საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქართულ და რუსულ ენებზე. გამომდინარე იქედან რომ საქმისწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია ქართულოენოვანია. თუმცა მოსწავლეები და მშობლები ფლობენ უმეტესად ქართულ ენას. რუსულენოვანი სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სკოლა დამატებით იყენებს ოფიციალურ სოციალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც მშობლებს მიეწოდებათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია რუსულ ენაზე. ასევე დამატებით კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას მშობლებისთვის რუსულ ენაზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც ქართულენოვანი, ისე რუსულენოვანი მშობლებისთვის და ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა გამომდინარე იქედან რომ **ვებგვერდზე არ იყო ვიზიტისას განთავსებული რუსულ ენაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგ. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ა.შ. დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი.**

დაწესებულებამ 2026 წლის 17 აგვისტოს MES 7 26 0001058640 კორესპოდენციით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ უკვე აღმოფხვრა ხარვეზი და მიუთითა დაწესებულების ვებგვერდის ბმული. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა სკოლის ვებგვერდი. იგი მოიცავს ინდიკატორის აღწერის შესაბამისად ყველა საჭირო ინფორმაციას როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდის სტრუქტურა არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ

პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს განათავსებს საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე. ასევე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვარტალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
- სამეურვე საბჭოს ოქმები;
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N01-03/55 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“, რომელიც არეგულირებს მოსწავლის მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურებს. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომელთა გაცნობაც უზრუნველყოფილია სკოლის მიერ, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ამასთან, სკოლაში ფორმდება ხელშეკრულება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის, რაც დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესი ასევე მოიცავს მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომების პრევენციის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის მათი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობას, რაც ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით. შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის წახალისების ფორმებსა და მათი გამოყენების წესს, დისციპლინური გადაცდომების ტიპებსა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს, აგრეთვე სკოლაში ჩაცმულობის წესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭვირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომრისსთვის განკუთვნილ ადგილს, გაფორმების თარიღსა და ადგილს,

ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N01-03/55 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“;
- მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში;
- შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N01-03/55 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. ასევე „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 თებერვლის №17/ნ ბრძანებით განხორციელებულ ცვლილებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებას და სხვა პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 ივნისის N01-06/80 ბრძანება სკოლის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელსაც ახლდა კლასის დამრიგებლის და დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათები. ასევე სკოლის დირექტორის კორესპოდენცია შესაბამის უწყებასთან მიმართვის თაობაზედ. ასევე შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის კორესპონდენცია შესაბამის უწყებასთან უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, შესაბამისად, დაწესებულებაში ხშირია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩარიცხვის შემთხვევები. ექსპერტებმა დაწესებულებიდან გამოითხოვეს ერთი სრული შემთხვევის (ქეისის) დოკუმენტაცია, რომელიც შეეხებოდა უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის პროცესს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის პროცესში განხორციელებული ყველა ეტაპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთანავე, დაწესებულებამ მოსწავლისთვის შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იმ საგნებში, რომლებშიც წარმოდგენილი დოკუმენტაციით სწავლის შედეგების მიღწევა არ დასტურდებოდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული პროცედურა განხორციელებული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულებაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით: სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი / მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მეხუთე კლასში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მეორე უცხო ენას. ენის არჩევა ხდება მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ მე-4 კლასის დასრულებისას, მშობელთა კრებებზე, მშობლების მიერ, ფარული კენჭისყრით, ხდება სკოლის მიერ შეთავაზებული მეორე უცხო ენის (რუსული, გერმანული) არჩევა. საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასარჩევ საგნებს. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებთან შეხვედრით, მათი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს ასარჩევი საგნების ნუსხას. სკოლა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსის შეძენას. მოსწავლეებმა და მშობლებმა იციან წრეებში მუშაობის წესები და პირობები. მშობელს აქვს ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა და სემესტრული ნიშნის გამოსწორების სურვილის შემთხვევაში დადგენილ ვადებში განცხადებით მიმართავს სკოლას. სკოლის დირექტორი დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს სემესტრულ გამოცდას. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია სასკოლო საზოგადოება. ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენეს სოციალურ ქსელს და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N01-03/55 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“;
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების დოკუმენტაცია;
- უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/195 ბრძანებით დამტკიცებულია ტრანზიციის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესში განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოიცავს როგორც პირველკლასელთა, ისე მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმებს. სკოლაში მობილობით შეიძლება ჩაირიცხოს ნებისმიერი კლასის მოსწავლე, რომელსაც შესაძლოა გაუჭირდეს ახალ გარემოსა და კლასთან შეგუება. ასეთ შემთხვევაში, ადაპტაციის პროცესს კოორდინაციას უწევს კლასის დამრიგებელი, რომელიც უზრუნველყოფს ახლადშემოსული მოსწავლის გაცნობას სკოლის გარემოსთან. იგი მოსწავლეს წარუდგენს კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ აცნობს მას კლასის სხვა მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას სასწავლო სივრცეში. კლასის დამრიგებელი ვალდებულია გაეცნოს მოსწავლის პირად საქმეს კონფიდენციალობის სრული დაცვით, ასევე შეხვდეს მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, რათა უკეთ გაერკვეს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებში.

ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, დამრიგებელი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა აქტივობას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ურთიერთგაცნობასა და ახალ მოსწავლესთან მეგობრული გარემოს შექმნას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მის ეფექტიან ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. დაწესებულება ხელს უწყობს უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო გარემოში, საჭიროების შემთხვევაში უწევს მათ როგორც აკადემიურ, ისე სხვა ტიპის მხარდაჭერას, რათა მარტივად ინტეგრირდნენ სასკოლო სივრცეში. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაციით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. როგორც სკოლის წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. ექსტერნის გამოცდების არსებობის შემთხვევაში წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ რეკომენდაციები/კონსულტაციები. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი სადაც მოსწავლესა თუ მშობელს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის განმსაზღვრელ თუ განმავითარებელ შეფასებაზე, დამრიგებლები

მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე განიხილავენ მოსწავლეების აკადემიური მოსწრებისა და ქცევის საკითხებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და მათთვის საჭირო მომსახურებების დროულად მიწოდებას. საჭიროების შემთხვევაში, მშობლის განცხადებისა და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, მოსწავლე გადაჰყავთ შინ სწავლების ფორმაზე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მშობლების მიმართვებს ოპერატიულად განიხილავს და მათზე რეაგირებას უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს. მშობლებმა დადებითად შეაფასეს ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის ხარისხი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და თანამშრომლობის პრაქტიკა. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მშობლების მიმართვებისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სკოლამ მიიღო შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები და საჭიროებისამებრ უზრუნველყო ცალკეული პროცესების კორექტირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების განვითარებასა და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას. მათ შორისაა: ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი „აანთე სიტყვა“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი „ნეირონი“, საზოგადოებრივი მეცნიერებების კლუბი „მერიდიანი“, ტექნოლოგიების კლუბი „კომპიუტერის ერა“. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით ხორციელდება სპორტული შეჯიბრებები, საახალწლო ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაში(რა? სად? როდის?) სამივე საფეხურზე და სხვა. სკოლის სოციალურ ქსელში არის

განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში მოსწავლეთა, მშობლებისა და ადმინისტრაციის შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილია ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა არხი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მოსწავლეებთან და მშობლებთან მუდმივი და ოპერატიული კომუნიკაციისთვის შექმნილია შესაბამისი ჯგუფები სოციალურ ქსელებში, რომლებიც გამოიყენება როგორც ინფორმაციის დროული გავრცელების, ისე მათი მოსაზრებების, ინიციატივებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მშობელთა საერთო შეხვედრებზე, ინდივიდუალური კონსულტაციების, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. აღნიშნული საკომუნიკაციო არხები უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციის მიერ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულ გაზიარებას, ასევე მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან პრობლემების, საჭიროებებისა და წინადადებების შეუფერხებლად დაფიქსირებას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და მის ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, მიღებული მოსაზრებები გამოიყენება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ-ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 01-03/195 ბრძანებით დამტკიცებული ტრანზიციის დებულება;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები;
- პედაგოგებთან და მოსწავლეთა მშობლებთან ინტერვიუს შედეგები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ.

სკოლაში დამრიგებლის საათში ჩაშენებულია პროექტი, რომელიც აცნობეს ცალკეულ პროფესიათა თავისებურებებს, ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა, სადაც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხშირია ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, XI- XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება ერთობლივი პროექტები, საზაფხულო ერთობლივი სკოლები, მოსწავლეთა მონაწილეობა სემინარებში, კონფერენციებში და სხვა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში. სკოლის მიერ დაგეგმილი პროფორიენტაციის ამოცანებია: დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში; გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი; დაეხმაროს მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში. ამ ამოცანების განსახორციელებლად სკოლა აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან სხვადასხვა პროგრამების და პროფესიების შესახებ. მოსწავლეებს კარიერულ დაგეგმვაში ეხმარებიან კლასის დამრიგებლები. კლასის საათზე აცნობენ სახვადასხვა პროფესიებს, ესაუბრებიან, უჩვენებენ ფილმებს და მსჯელობენ. მშობლები ექსპერტებთან ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ თავადაც იღებენ ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაციისა თუ კლასის დამრიგებლებისგან. ჩვენი სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები მიწვეულნი იყვნენ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მომავალი პროფესიული ორიენტაციის არჩევისა და დაინტერესების მიზნით. გაიმართა საინფორმაციო და ინტერაქციული შეხვედრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სკოლა გეგმავს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მომსახურების ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და შემდგომ გაუმჯობესებას. მშობელთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღება ხორციელდება როგორც მშობელთა საერთო კრებების, ისე ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში. მოსწავლეთა უკუკავშირის მიღება უზრუნველყოფილია

მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლასის დამრიგებლებისა და სხვა საკომუნიკაციო მექანიზმების საშუალებით. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები გაანალიზდება და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის, სასწავლო პროცესისა და სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი;
- კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები;
- სკოლის სოციალური ქსელი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების კომპონენტს, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული სსსმ მოსწავლეთა შეფასების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე შინ სწავლების ორგანიზების წესი საჭიროების შემთხვევაში. დოკუმენტში ასევე ასახულია სსსმ მოსწავლეთა უფლებები და მათი საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები. სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის N01-03/132 ბრძანებით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური და სასწავლო რესურსებით, მათ შორის კომპიუტერით, პრინტერითა და სხვადასხვა დამხმარე საგანმანათლებლო მასალით, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად სასწავლო პროცესის ორგანიზებას. სკოლას ჰყავს მრავალპროფილური მხარდამჭერი გუნდი, რომელიც შედგება 6 სპეცმასწავლებლისგან, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების

სპეციალისტისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების 7 ასისტენტისგან. თითოეულ სპეციალისტთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს მომსახურების უწყვეტობასა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას. ვიზიტის მომენტისთვის სკოლაში ირიცხებოდა 37 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. არსებული ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მარეგულირებელი დოკუმენტები ქმნის საფუძველს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ). ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის აქტუალურ აკადემიურ დონეს და, მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების შეფასებას და მოიცავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრას, შესაბამისი სასწავლო აქტივობების შერჩევასა და სასკოლო დავალებების ადაპტირებას. სპეციალური მასწავლებელი დამატებით შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას და ადგენს რესურსოთახში მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალურ განრიგს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არის ჩართული მოსწავლის მშობელი, რომლის მოსაზრებები და ინტერესები გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისას. მშობლებისთვის უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია, სპეცმასწავლებლები, საგნის მასწავლებლები და სხვა მხარდამჭერი სპეციალისტები გუნდური თანამშრომლობის საფუძველზე ზრუნავენ მოსწავლის როგორც აკადემიურ განვითარებაზე, ისე მის ფსიქოემოციურ კეთილდღეობასა და თანატოლებთან წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაზე. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ-ს შექმნის ბრძანება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ისგ-ს ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინდ.გეგმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის N01-03/132 ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად, სკოლას გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულებები სკოლის ინფრასტრუქტურის ცალკეული სივრცეების გამოყენების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომლისთვისაც ფართი გაცემულია მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით. აღნიშნული მომსახურება უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისთვის კვების სერვისის ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესის განმავლობაში. ამასთანავე, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გაქირავებულია სკოლის სპორტული დარბაზი, სადაც ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული და კალათბურთის წრეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა არ ახორციელებს მსგავს მომსახურებას. თუმცა იჯარით გაცემულ ფართში არსებული სერვისებით სარგებლობა ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა არ ახორციელებს სხვა ტიპის მომსახურებას. თუმცა გაიჯარებულ ფართებში არსებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ქართულენოვანი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (რუსულენოვანი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ქართულენოვანი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (რუსულენოვანი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ქართულენოვანი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (რუსულენოვანი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება ინკლუზიურ და მონაწილეობით მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და სხვადასხვა ინტერესის, შეხედულებისა და საჭიროების გათვალისწინებას. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად მონაწილეობს ადმინისტრაცია და ორივე სექტორის პედაგოგები. მოსწავლეები და მშობლები მეტნაკლებად არიან ჩართულები აღნიშნულ პროცესში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლეგიალურობას და გამჭვირვალობას.

დოკუმენტაციის გაცნობისა და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია სისტემური მექანიზმები, როგორიცაა საჭიროებათა კვლევა, გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და უკუკავშირის სხვადასხვა ფორმატი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება როგორც აკადემიური, ისე სოციალური და ემოციური საჭიროებები. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის მიზნების, პრიორიტეტებისა და სასწავლო აქტივობების განსაზღვრისას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს, რაც აისახება დიფერენცირებული სწავლების, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებისა და არაფორმალური აქტივობების შეთავაზებაში. ამასთანავე, კურიკულუმი ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტს, თემის სპეციფიკასა და სკოლის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. ის, ასევე, ასახავს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. შეხვედრის ოქმებით დასტურდება, რომ დაწესებულება მართავს მშობელთა კრებებს, რომლებზეც განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სასწავლო პროცესი, დისციპლინა, უსაფრთხოება და საშინაო დავალებების შესრულება. ამ შეხვედრების დროს მშობლებს საშუალება ეძლევათ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და მიიღონ ინფორმაცია. ეს მიანიშნებს, რომ სკოლა ცდილობს მშობლებთან კომუნიკაციას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც ქართული, ისე რუსული სექტორის საგნობრივი კურიკულუმები ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ წარმატებული დანერგვისთვის კურიკულუმის შინაარსს უნდა იზიარებდნენ და მის განვითარებაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები ერთად უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე: რა თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს ასწავლიან, რა სახის დავალებებს, ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ და რა მექანიზმებით შეისწავლიან კურიკულუმის დანერგვის პროცესს. მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც მათ ჩართულობას უწყობს ხელს კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა თავად აკონკრეტებს, რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში ორივე სექტორის კურიკულუმი არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან განხორციელებას.

კურიკულუმის დოკუმენტი სისტემატურად ეცნობა სასკოლო საზოგადოებას სამუშაო შეხვედრების და პროფესიული განვითარების ფორმატებში, სადაც ხდება მისი დეტალური განხილვა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. მოსწავლეები და

მშობლები ინფორმირებულნი არიან კურიკულუმის ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რაც ხორციელდება როგორც საინფორმაციო შეხვედრების, ასევე ციფრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. სკოლაში უზრუნველყოფილია კურიკულუმის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სკოლის შიდა რესურსებში და საჭიროების შემთხვევაში ბეჭდური მასალის სახით. ამასთანავე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში მუდმივად მიმდინარეობს უკუკავშირის მიღება და გაზიარება, რაც აძლიერებს თანამშრომლობას სკოლასა და საზოგადოებას შორის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025-2026 სასწ.წელი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- პირველი სემესტრის პედსაბჭოს შემაჯამებელი ოქმი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ **ორივე სექტორისათვის** შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს ან საკითხთა

	კლასტერს უკავშირდება. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო რესურსები, ასევე შუალედური სასწავლო მიზნები - შემოქმედებითი დავალების ან/და სასწავლო პროექტების იდეების სახით. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმების ჩარჩოებში არ არის ასახული კონტექსტ- მაგალითი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს შემოქმედებითი დავალებების შინაარსი, აგრეთვე რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა**: • *საგაზო საფეხურის პროგრამაში (რუსული ენა) ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმების თემებში ასისახოს ქვეცნებები; მე-9 კლასის კურიკულუმში გასწორდეს პირველი სავალდებულო თემის დასახელება - „მექანიკური მოძრაობის“ ნაცვლად აისახოს „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“* • *საშუალო საფეხურის პროგრამაში (რუსული ენა) ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში თემებში გასწორდეს სამიზნე ცნებება - "სტრუქტურა და ფუნქცია"-ს ნაცვლად აისახოს "სტრუქტურა, ფუნქცია": მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში აისახოს ქვეცნებები.* • *სკოლამ საგაზო საფეხურის პროგრამის (რუსული ენა), საშუალო საფეხურის პროგრამის (რუსული ენა) ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს დიზაინში განიხილოს კონტექსტ-მაგალითის სვეტის არსებობა, და ბოლო სვეტს დაერქვას - ,,სასწავლო რესურსები", სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება ძირითადი და დამხმარე რესურსები* • *საგაზო საფეხურის პროგრამაში (ქართული ენა) ბიოლოგიის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში თემებში ასახოს ქვეცნებები აგრეთვე გასწორდეს სამიზნე ცნებება - "სტრუქტურა და ფუნქცია"-ს ნაცვლად აისახოს "სტრუქტურა, ფუნქცია". მე-8 კლასის კურიკულუმში ჩასწორდეს მეორე თემის დასახელება „ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის“ ნაცვლად აისახოს „საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა“; მე-9 კლასის კურიკულუმში ამოსაღებია სამიზნე ცნება - „კვლევა“, ჩასწორდეს მეორე და მესამე თემების დასახელება და აისახოს „ადამიანის შეგრძნების ორგანოები;“ და*

	„ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა“; ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმები მოვიდეს შესაბამისობაში სკოლის ერთიანი კურიკულუმის ჩარჩოს ფორმაში, აგრეთვე აისახოს თემების ფარგლებში სამიზნე ცნებები და მათ მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებები, მე-7 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს სამი თემის მიხედვით - „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“; მე-9 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“ და „სტატიკა და დინამიკა“. • *საშუალო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების თემებში აისახოს ქვეცნებები აგრეთვე გასწორდეს სამიზნე ცნება - “სტრუქტურა და ფუნქცია”-ს ნაცვლად აისახოს “სტრუქტურა, ფუნქცია”; მე-11 კლასის კურიკულუმში მეორე თემაში აისახოს გამოტოვებული სამიზნე ცნება „ბიომრავალფეროვნება“; ფიზიკის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების თემებში აისახოს ქვეცნებები;* • *საშუალო საფეხურის პროგრამაში (რუსული ენა) ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში თემებში გასწორდეს სამიზნე ცნება - “სტრუქტურა და ფუნქცია”-ს ნაცვლად აისახოს “სტრუქტურა, ფუნქცია”: მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში აისახოს ქვეცნებები.* • *სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამის ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს დიზაინში განიხილოს კონტექსტ-მაგალითის სვეტის არსებობა, და ბოლო სვეტს დაერქვას - ,,სასწავლო რესურსები”, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება ძირითადი და დამხმარე რესურსები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული დოკუმენტები, (**სამივე საფეხურსა და ორივე სექტორზე)** ორიენტირებულია მოსწავლეზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ამაზე მიუთითებს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები, შუალედური მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი კომპლექსური ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს ასაკის შესაბამისად სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსური ხასიათის დავალებებს, სადაც ისინი არიან მოტივირებულნი, შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს. ***რჩევა:*** *<u>საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში დაამატონ კიდევ ერთი სვეტი კონტექსტ-მაგალითებისათვის. აღნიშნული გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესს და დაგეგმილ კურიკულუმებს მეტად ორიენტირებულს გახდის მოსწავლესა და მის შესაძლებლობებზე.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმებისა და შესაბამისი სასწავლო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ქართული და რუსული სექტორისთვის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კურიკულუმში გათვალისწინებულია სასწავლო მიზნები, მოსწავლეთა საჭიროებები და სასწავლო პროცესის თანმიმდევრული განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი კომპონენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარების შესაძლებლობას. ქართულ და რუსულ პროგრამებს შორის აღნიშნული ინდიკატორის შესრულების თვალსაზრისით არსებითი განსხვავება არ გამოვლენილა. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ესთეტიკის კათედრაზე ხდება ორივე სექტორისთვის შემუშავებული კურიკულუმების ანალიზი. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული შედეგებისკენ. ორივე სექტორის ორივე საგნის (ხელოვნება–მუსიკა) კურიკულუმებში ასახულია სავალდებულო თემები და მასწავლებლებს შერჩეული აქვთ ისეთი აქტივობები, რაც დაეხმარება შედეგზე გასვლაში . შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის განვითარებაზე. ორივე სექტორზე მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ზოგიერთ შემთხვევაში კარგად არ არის ჩამოყალიბებული დავალების იდეა და კრიტერიუმები. **რჩევა:** *<u>ქართული სექტორის მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სწორად ასახონ დავალების იდეა და შესაბამისად განსაზღვრონ კრიტერიუმები.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ორივე სექტორზე სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში. კურიკულუმებში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თემები, სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ბუნების დავალებებს.

	რჩევა: *ქართული სექტორის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს კონტექსტ-მაგალითების გრაფა,კრიტერიუმების ნაცვლად. სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (ქართული სექტორი: VII,VIII,IX,X , რუსული სექტორი: V,VII, IX,X, XI) კურიკულუმი,რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის და ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია , ყველა კლასის კურიკულუმში,ორივე სექტორზე, მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. **რჩევა:** • *სასურველია მათემატიკის კათედრამ, **რუსულ სექტორზე, დაწყებით საფეხურზე II-V-VI კლასების, საბაზო და საშუალო** საფეხურის კლასების, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნებისათვის შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას გამოკვეთონ, რა პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები.* • *ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზონ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები),*

	<u>რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.</u> **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი ორივე სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები, მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფეხბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჯანსაღი კვება, მავნე ჩვევების პრევენცია, ოლიმპიზმი და სხვ.). კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. კურიკულუმები წარმოადგენენ სტრუქტურირებულ დოკუმენტებს და მოიცავენ ყველა აუცილებელ კომპონენტს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე ორივე სექტორის კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო თემების ბაზაზე. საკითხთა თანმიმდევრობა მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგებზე გასვლას. შუალედური სასწავლო მიზნები მიიღწევა კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და შემოქმედებითი პროდუქტების შექმნით. კურიკულუმის პრაქტიკულ რეალიზებას ადასტურებს მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, ფოტომასალა

	და მასწავლებლის რეფლექსიები. სკოლის მიერ შემუშავებული **დაწყებითი საფეხურის პროგრამაში (ქართული ენა), დაწყებითი საფეხურის პროგრამაში (რუსული ენა)** 1-6 კლასების ბუნების საგნის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ ბუნებისმეტყველების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია რესურსები, აგრეთვე, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შეფასების კრიტერიუმები, შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. აღსანიშნავია, რომ რიგ კურიკულუმის ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ, სკოლას ეძლევა რჩევა: • *<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ქართულ სექტორზე ბუნებისმეტყველების საგნის მე-3 კლასის კურიკულუმში დაჯგუფდეს ყველა კითხვა თანმიმდევრულად, ჯერ პირველ თემაში - „მზის სისტემა“, შემდეგ მეორე თემის - „ჩემი ქვეყნის ბუნება“; მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - “დედამიწა” და “ციკლური პროცესები ბუნებაში”; მე-6 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემის დასახელება - „ნარევები და მათი დაყოფის ხერხები“-ს ნაცვლად აისახოს „ნარევები და მათი დაყოფის გზები“.</u>* • *<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში რუსულ სექტორზე პირველი კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: - “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიული ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”; მე-3 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიული ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”, აგრეთვე,</u>*

	თითოეულ თემაში აისახოს ხუთივე სამიზნე ცნება, მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: "სივრცეში ორიენტირების", "გარემოს დაცვის", "მოვლენის" ნაცვლად აისახოს - "გეოგრაფიური ობიექტი", "მდგრადი განვითარება", "მოვლენა, პროცესი", გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - "დედამიწა" და "ციკლური პროცესები ბუნებაში"; მე-6 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემის დასახელება: „ ნარევები და მათი დაყოფის ხერხები"-ს ნაცვლად აისახოს „ნარევები და მათი დაყოფის გზები"; • *დაწყებითი საფეხურის პროგრამის ორივე სექტორზე ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს დიზაინში განიხილოს კონტექსტ-მაგალითის სვეტის არსებობა, აგრეთვე, ბოლო სვეტს დაერქვას - ,,სასწავლო რესურსები", სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება ძირითადი და დამხმარე რესურსები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ორივე სექტორის საბუნებისმეტყველო საგნების -ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების საგნების საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ორივე სექტორისთვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები **სამივე საფეხურზე** მიემართება ეროვნული-სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. გაწერილია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. დაგეგმილი კომპლექსური ხასიათის დავალებები მოსწავლეებს განუვითარებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გამჭოლ უნარებს. მასწავლებლებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში. **რჩევა:** • *სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დამატებული კრიტერიუმების სვეტში არსებული მონაცემები შესაბამისობაში იყოს სამიზნე ცნებებთან.* • *კურიკულუმის ჩარჩოებს დაამატონ კონტექსტ-მაგალითების სვეტი. კურიკულუმის აღნიშნული ნაწილის არსებობა მნიშვნელოვნად ამარტივებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ორივე სექტორისთვის შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში განსაზღვრული მიზნები, სასწავლო შედეგები და დაგეგმილი აქტივობები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა საგნობრივი ცოდნის, ენობრივი უნარებისა და საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებაზე. სასწავლო მიზნები თანმიმდევრულად არის ასახული თემატურ და საგნობრივ გეგმებში. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორის კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი (ხელოვნება–მუსიკა) სტანდარტების მისაღწევი შედეგები. კურიკულუმებში გათვალისწინებული და გაწერილია ესთეტიკის მიმართულების საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს შესაბამის სამიზნე ცნებებზე გასვლას. შესაბამისად, კურიკულუმები მიემართება ესგ–ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ორივე სექტორის სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა) შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებით. **რჩევა:** *<u>სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე, დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**ორივე სექტორის** სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება მუშავდება, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ: **ქართული სექტორის XI კლასის**

	კურიკულუმებში სამიზნე ცნების ნაცვლად მიმართულებები და ქვეცნებებია მითითებული, თუმცა შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით მუშავდება ყველა ცნება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** • *სასურველია ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მათემატიკის კათედრაზე შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა საგნობრივ სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, ამისათვის ასევე კარგი იქნება მათემატიკის კათედრის დაწყებითების კათედრასთან თანამშრომლობა.* • *სასურველია ორივე სექტორის XII-XI-X-VIII-VI-V კლასის კურიკულუმებში, გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში.*
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი ორივე სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებისა და პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ივენტარს. წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებლეს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც უზრუნველყოფს დასახული საგანმანათლებლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. შუალედური დავალებები იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ მოიცავს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებას, ქვეცნებასა და შედეგს. სკოლის მიერ ორივე სექტორის დაწყებითი **საფეხურების** საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების** პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** • *ქართულ სექტორზე სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმებში (III-IV კლასები) სრულყოფილად და ზუსტად აისახოს ეროვნული სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო კომპონენტი. კურიკულუმის სტრუქტურაში მკაფიოდ და სწორად იყოს გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემები და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამიზნე ცნებები.* • *ქართულ სექტორზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში(II- კლასი) დააკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ცდები ან/და ექსპერიმენტები, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:** • *ორივე სექტორის საგაზო საფეხურზე ბიოლოგიის, ფიზიკის მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში; ორივე სექტორის საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში; სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მისი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში, ორივე სექტორის **სამივე საფეხურზე,** რამდენიმე შემთხვევაში, ძირითად რესურსად წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელო. თუმცა, ნაწილ კურიკულუმებში წარმოდგენილია დამატებით სხვა სხვა მრავალფეროვანი რესურსი. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ისინი მუდამ ცდილობენ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სწორად შეარჩიონ სასწავლო რესურსი, მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს და გააადვილებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგის მიღწევას.

	რჩევა: *<u>სასწავლო რესურსები, (მათ შორის ლინკები) რომლებიც ჩაშენებულია საგნობრივ კურიკულუმებში გახადონ მეტად მრავალფეროვანი.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ქართული სექტორისთვის შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმებისა და შესაბამისი სასწავლო გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა საგნობრივი ცოდნის, ენობრივი უნარებისა და საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლებლობები და სასწავლო საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე, ესთეტიკის მიმართულების კურიკულუმებში, თითოეულ სავალდებულო ბლოკში გაწერილი თემისთვის განსაზღვრულია ძირითადი საგანმანათლებლო და რიგ შემთხვევაში დამატებითი რესურსიც. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის გრიფირებული სახელმძღვანელო. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც, მათ შორის ტელესკოლის რესურსებსა და სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ორივე სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** *სასურველია, ორივე სექტორის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა, რომლებიც შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**ორივე სექტორზე** კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები (მითითებულია კურიკულუმებში მიბმულ დანართებში), რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. თუმცა კურიკულუმების უმრავლესობაში რესურსები ძალიან მწირია, თუ არ ჩავთვლით მაგალითად ქართული სექტორის II-III-VII კლასების კურიკულუმებს; მასწავლებლებმა დაასახელეს უამრავი ინტერნეტპლატფორმა და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, თუმცა არ აქვთ ყველაფერი ეს ასახული დოკუმენტურად; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ქართული სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ს საგნობრივ სტანდართთან. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელბიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში ფიზიკური თვისებების განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის ელემენტების დაუფლებას და

	ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სავალდებულო თემების ფარგლემში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის, დაწყებითი კლასების კურიკულუმები გამდიდრებულია დამატებითი სახელმძღვანელოებითა და გამართულად მომუშავე ელექტრონული რესურსებით. მათი გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების უკეთ გააზრებაში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების წარმატებით მიღწევას. **რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, **დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე,** კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბუნებისმეტყველების საგნის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების გარეშე, ამიტომ 1-ელ-მე-6 კლასების ბუნების საგნის კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს **მარტივი** ცდები. ამიტომ, სკოლას ეძლევა რჩევა: • *ორივე სექტორზე სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმების (III-IV კლასი) გამდიდრება გამართულად მომუშავე ელექტრონული და ციფრული რესურსებით. ასეთი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების*

	ეფექტიანი გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ საკითხები და სრულად მიაღწიონ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. • *სკოლის ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების 1-ელ-მე-6 კლასების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს მარტივი, რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ორივე სექტორის **საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას ორივე სექტორზე **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, შესაბამისად დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი და მოარგონ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, თუმცა ასეთი მკაფიო ტენდენცია არ იკვეთება შემაჯამებელი, დიაგნოსტიკური დავალებების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: • *ორივე სექტორზე საბაზო და საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი საგნობრივი კურიკულუმები (ორივე სექტორის **სამივე საფეხურზე** ისეა დაგეგმილი, რომ შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანონ დაგეგმილ აქტივობებში, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს ესთავაზობენ დიფერენცირებული მიდგომები და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვანი აქტივობები. მასწავლებლები სწავლა/სწავლების პროცესში ყველა მოსწავლეს (მათ შორის სსსმ მოსწავლეებს) სთავაზობენ მისი სწავლის სტილიდან გამომდინარე შესაბამის დავალებებს. ამას ისინი ახერხებენ კომპლექსური ხასიათის დავალებების საჭიროებისამებრ მოდიფიცირებისა ,,სასწავლო მენიუს“ პრაქტიკაში აქტიური გამოყენებით. ძალიან საინტერესო იყო **ქართულ სექტორზე,** მე-8 კლასში, გეოგრაფიის მასწავლებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი რემედიაციის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ორივე სექტორის უცხოური ენების სასწავლო პროცესისა და შესაბამისი კურიკულუმების შესწავლის შედეგად სამივე საფეხურზე დადგინდა, რომ სწავლება ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლის განსხვავებულ ტემპს. სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომები, დავალებები და რესურსები ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას და მათთვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას. საჭიროების შესაბამისად, მასწავლებლები ახდენენ სასწავლო აქტივობების, დავალებების სირთულისა და მხარდაჭერის ფორმების ადაპტირებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორის პედაგოგები იცნობენ ესგ–თი განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავებული აქვთ და იყენებენ სხვადასხვა სახის განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლებს ეხმარება გამოავლინონ მოსწავლის პოტენციალი და დაგეგმონ ცოდნისა და

	შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარების გზა. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის კათედრაზე, ვინაიდან აქ მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვის გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ორივე სექტორზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს ორივე სექტორის პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მასწავლებლებთ ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს.

	რჩევა: *შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**ორივე სექტორისთვის** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და იმუშაონ (ეს ჩანს დაწყებით საფეხურზე), თუმცა დიფერენცირება დოკუმენტებში უფრო მეტად სსსმ მოსწავლეებით შემოიფარგლება; **რჩევა:** *ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია იდეა ჩამოყალიბდეს ისე, რომ გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი და რომელი შედეგის შეფასებას ემსახურება. მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანი თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით წარმოადგინოს მოსამზადებელი დავალება.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას მოსწავლეების ფიზიკური შესაძლებლობების

	გათვალისწინებით. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობების აღწერა, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, დაგეგმილი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს შემოქმედებითი ტიპის დავალებების გამოყენებას, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. პედაგოგებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ჩართულობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ **დაწყებითი საფეხურის ორივე სექტორზე** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. საგნების პედაგოგები ახორციელებენ არატიპიური მოსწავლეების სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას **დაწყებით საფეხურზე** აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კორექციის პროცესი იყო ბავშვების ტემპზე ადაპტირებული და სპეციალური მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული.

	აღსანიშნავია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების და შემაჯამებელი დავალებები, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: • *<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორის, ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის პედაგოგები შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან შეფასების ტიპებს- დიაგნოსტიკური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი; გამოიყენებენ ანალიტიკურ, ჰოლისტურ, მოლოდინების ცხრილების და სხვა შეფასების რუბრიკებს, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმებისათვის მიმართავენ სოლო ტაქსონომიის მოდელს, თუმცა არასრულად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თემების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ერთიან ფორმაში არსებობს სვეტი „შეფასების კრიტერიუმები“. აღნიშნულ სვეტში ასახულია შემოქმედებითი დავალების შეფასების

	მრავალფეროვანი მიდგომები, მაშინ, როცა სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების მიხედვით, უპრიანი იქნებოდა, საბუნებისმეტყველო საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებიდან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკების ასახვა იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ხასიათის (ბუნების) დავალება. ინტერვიუებშიც გამოიკვეთა, რომ სკოლას არ გააჩნია ერთიანი ხედვა და სახელმძღვანელო პრინციპი აღნიშნული სვეტის შევსებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სკოლას ეძლევა რჩევა: • *ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან ან ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;* • *ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.* • *სასურველია, სკოლამ ორივე სექტორისათვის განიხილოს ყველა საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) და საგანმანათლებლო პროგრამის ერთიანი კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოდან შეფასების კრიტერიუმების სვეტის ამოღება.*

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე, (**სამივე საფეხურზე** გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ამ მიმართულებით კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესში, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს, რათა არ აცდნენ ეროვნული-სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	**ორივე** სექტორზე მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების, პროგრესისა და საჭიროებების გამოვლენას. შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან,

	ხოლო მოსწავლეებს მიეწოდებათ შესაბამისი უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ქართულ და რუსულ სექტორებზე მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების, პროგრესისა და საჭიროებების გამოვლენას. შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან, ხოლო მოსწავლეებს მიეწოდებათ შესაბამისი უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **რჩევა:** *სასურველია, ორივე სექტორზე შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე.*

	სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე, ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**ორივე სექტორზე** წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შეტანილია შეფასების კრიტერიუმებიც, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის გამოყენებაზე, ანალიზსა და არგუმენტირებულ მსჯელობაზე. **რჩევა:** • *სასურველია, ორივე სექტორის სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გაგებაზე.* • *მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და*

	<u>განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.</u> • *<u>შეფასების კრიტერიუმები ზოგ თემაში ძალიან ვრცელია, მაგალითად, VIII კლასის კურიკულუმებში, უმჯობესია გამოიყოს აუცილებელი შედეგები (შეირჩეს 3-4 კრიტერიუმი), დამატებითი შედეგები, ასე შეფასებაც გაცილებით გამარტივდება.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. შეფასება ხდება სამიზნე ცნებების და კომპეტენციების მიხედბით, თითოეულ კრიტერიუმს ახლავს შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის უკუკავშირი. ასევე, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლის ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორისთვის</u>** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ

	სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები არ არის მიმართული საფეხურის სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ერთიან ფორმაში არსებობს სვეტი „შეფასების კრიტერიუმები“. აღნიშნულ სვეტში ასახულია შემოქმედებითი დავალების შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები, მაშინ როცა სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების მიხედვით, უპრიანი იქნებოდა, საბუნებისმეტყველო საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებიდან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკების ასახვა, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ხასიათის (ბუნების) დავალება; როგორც ინტერვიუებშიც გამოიკვეთა, სკოლას არ გააჩნია ერთიანი ხედვა და სახელმძღვანელო პრინციპი აღნიშნული სვეტის შევსებასთან დაკავშირებით. ამიტომ, სკოლას ეძლევა რჩევა: • *<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე, ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს დაწყებითი საფეხურის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი- კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მომზადდეს ნაწილობრივ მე-5 (მე-2 სემესტრის) და მე-6 კლასებისთვის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ინდიკატორების საფუძველზე.</u>* • *<u>დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისთვის შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების</u>*

	შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის სამიზნე ცნებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ორივე სექტორის კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი ფოტოები და პრეზენტაციები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- შემაჯამებელი დავალებების და დიაგნოსტიკური წერის ანალიზი (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);
- კათედრის მონიტორინგის ჩეკლისტი;
- მასწავლებელთა წლიური სამუშაო გეგმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ორივე სექტორის სამივე საფეხურზე. საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	პედაგოგებთან ინტერვიუდან და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ბიოლოგიის კლუბი ,,ნეირონი", სადაც გაწევრიანებულია ორივე სექტორის მოსწავლეები. არაფორმალური გაერთიანების მიზანია საბუნებისმეტყველო მიმართულების ინტერესის გაზრდა, საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია, მოსწავლეთა კვლევის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება, მიღებული ცოდნის ადაპტირება ყოფა-ცხოვრებაში და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლა-სწავლების პროცესი (**სამივე საფეხურსა და ორივე სექტორზე)** მიმდინარეობს დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კათედრაზე მუდმივად განიხილავენ რა აქვთ წლის მანძილზე დაგეგმილი და რის განხორციელებას ახერხებენ ეტაპობრივად. ისინი პრაქტიკაში აქტიურად მიმართავენ შუალედურ მონიტორინგს, რათა არ აცდნენ კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. ამის მაგალითად შეიძლება ვახსენოთ **ქართულ სექტორზე** გეოგრაფიის მასწავლებლის მიერ გაკეთებული I სემესტრის ანალიზის ფორმა ყველა კლასისათვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების მიერ განხორციელებეული კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დაფუძნებულია სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპზე, ამ პრინციპების გათვალისწინებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლებას. გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც ასაკის შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებს აქვთ არაერთი წარმატებულად დაგეგმილი სასწავლო პროექტის განხორციელებულების გამოცდილება. **რჩევა:**

	• *(ეხება ორივე სექტორს) სასურველია შემცირდეს მე-11 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული კომპლექსური ხასიათის დავალებათა რაოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, განხორციელების პროცესში აუცილებლად დადგება დროის დეფიციტის პრობლემა.* • *ასევე, უმჯობესია მოსწავლეთა მცირე ასაკის გათვალისწინებით შემცირდეს დამატებით გადმოგზავნილ საგან „მე და საზოგადოების“ (მე-3 კლასი) კურიკულუმში კომპლექსური ხასიათის დავალებათა რაოდენობა. (ქართული სექტორი)* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სასკოლო კურიკულუმის არსი, მიზნები და სტრუქტურა. ქართულ და რუსულ სექტორზე ისინი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ხელმძღვანელობენ კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებით, სამიზნე ცნებებით, სწავლის შედეგებითა და მოსწავლეთა საჭიროებებით. კათედრის წევრები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმზე მუშაობა ციკლური პროცესია და მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, შედეგების გაანალიზებას, რეფლექსიასა და საჭირო ცვლილებების შეტანას. მათ მიერ წარმოდგენილი პასუხები იყო გააზრებული, თანმიმდევრული და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე, ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები და შემოქმედებითი დავალებები. გაწერილი კურიკულუმები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების მიმდინარეობის პროცესზე. გარდა ამისა, მოსწავლეები ასრულებენ

	მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებებს, მონაწილეობენ კონფერენციებში, უტარდებათ გასვლითი გაკვეთილები. მოსწავლეები ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებში, რაც დასტურდება მათი წარმატების სიგელებით. სკოლაში ხორციელდება ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. ეწყობა გამოფენები. წახალისებულია არაფორმალური განათლება. ჩართული არიან სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა სახით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ორივე სექტორზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, შემოქმედებითი დავალებების, რესურსებისა და აქტივობების შერჩევა. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიით. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს და ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**ორივე სექტორზე** სასწავლო პროცესი ძირითადად სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გასაუბრებისას წარმოდგენილი პირველი სემესტრის აქტივობების ამსახველი მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები ამაზე მეტყველებს. კურიკულუმის მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებლთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად კეთდება ანალიზი, ითვალისწინებენ სკოლის ძლიერ მხარეებს, გამოწვევებს, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ

	კურიკულუმებში. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ორივე სექტორზე (ქართული და რუსული) სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება საკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ახორციელებენ შეთავაზებულ დავალებაში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სკოლაში სისტემატურად ტარდება შიდა სასკოლო ფესიტვალები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ სწავლებისას ისინი ეყრდნობიან კურიკულუმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს და თემატურ ერთეულებს თანმიმდევრულად მიჰყვებიან (საჭიროების შემთხვევაში ახდენენ დავალებების ადაპტირებას/შეცვლას). დავალებების დაგეგმვა და განხორციელება ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და თემატურ ინდიკატორებს, რაც მკაფიოდ აისახება როგორც დოკუმენტაციაში, ისე პედაგოგთა გამოკითხვის შედეგებში.სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი **დაწყებითი საფეხურის პროგრამაში ორივე სექტორზე** საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. არაფორმალური გაერთიანების მიზანია საბუნებისმეტყველო მიმართულების ინტერესის გაზრდა, საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია, მოსწავლეთა კვლევის,

	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება, მიღებული ცოდნის ადაპტირება ყოფა-ცხოვრებაში და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა ეფექტიანად რეაგირებს წარმოქმნილ და შემხვედრ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. სკოლაში დანერგილია საჭიროებების დროული იდენტიფიცირების მექანიზმები, მათ შორის რეგულარული მონიტორინგი, პედაგოგთა დაკვირვება, მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაცია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები ოპერატიულად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს სასწავლო პროცესში. მოქნილი რეაგირება გამოიხატება როგორც სწავლა-სწავლების სტრატეგიების ადაპტირებაში, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და გამდიდრებული აქტივობების შეთავაზებაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის, განრიგისა და აქტივობების მოდიფიცირებაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ორივე სექტორის **საბაზო და საშუალო საფეხურის** საბუნებისმეტყველო საგნების(ბიოლოგია, ფიზიკა,ქიმია) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების შესახებ. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ **საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში** დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც აღწერილია შესაბამის ვერიფიკაციის დოკუმენტში. ამ დოკუმენტის განხილვის შედეგად სკოლას **ეძლევა რჩევა:**

	• *<u>სკოლის საგაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში საგაზო საფეხურის პროგრამაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის სრულყოფილების მიზნით შესაგამის დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია. ამის გარდა დოკუმენტში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაგამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი.</u>* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, (**სამივე საფეხურზე** მასწავლებლები ცდილობენ მათი შეფასება იყოს მაქსიმალურად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია, რადგან როდესაც მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების პროცესში მათი მოტივაცია სწავლა/სწავლების პროცესში უფრო მაღალია და შედეგებიც თვალსაჩინო. **რჩევა: (ეხება ორივე სექტორს)** • სასურველია, რომ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად კონკრეტული და ეროვნულ-სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს მეტად მორგებული.

	• კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებული კრიტერიუმების სვეტში შეტანილი მასალა, მსგავსად დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტაციაში არსებულისა მაქსიმალურად დაუახლოვონ ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამგვარად, შეფასების პროცესი გახდება მეტად მიზნის შესაბამისი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე ქართულ სექტორზე გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვადგენთ, რომ მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ და მოსწავლეებისთვის გასაგებ შეფასების კრიტერიუმებს. შემაჯამებელი დავალებები ფასდება შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით, რომლებიც დაკავშირებულია დავალების მიზნებთან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან და შესაფასებელ ცოდნასა და უნარებთან. რუბრიკებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და მიღწევის დონეები, რაც შეფასების პროცესს ხდის გამჭვირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. სასწავლო პროცესში ასევე გამოიყენება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა პროგრესს, ავლენენ მათ ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და აწვდიან კონკრეტულ, განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ერთიანი და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და თანმიმდევრულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასების საშუალებებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში, რომლებიც გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს, შესაბამისად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე. შესაფასებელი დავალებებები ფორმულირებულია გასაგებად. გადმოგზავნილია ასევე შემაჯამებელი

	დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებითა და ანალიზით, რომლებიც ასევე, ვალიდურია. სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **რჩევა**: • *სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა*

	<u>თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.</u> **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმის მიზნებს და იმ შედეგებს, რომლებიც ამ მიზნებიდან გამომდინარეობს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობება ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ეს ყოველივე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი რუბრიკები მოწმობს, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სწორად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს. ინსტრუმენტებში ნათლადაა გამოკვეთილი კავშირი სწავლის შედეგებთან. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, წინასწარ იცოდნენ მოლოდინები, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, სამართლიან გარემოსა და საკუთარი მიღწევების სრულფასოვნად დემონსტრირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მიუთითებს, რომ სკოლას ესმის ვერიფიკაციის მნიშვნელობა და მიზანი. ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომელზეც პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. თუმცა, პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართულნი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას ჰყავს განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და შემუშავებული აქვს პროცედურა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში. ეს პრინციპი უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას და მიუკერძოებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მოქმედებს შეფასების დოკუმენტაციის მართვის რეგულირებული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ (ბეჭდურ) ფორმატებს. ინახება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველი მონაცემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მასალები, ტესტები, პროექტები, პორტფოლიოები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაცია ორგანიზებულია სტრუქტურირებულად, დაცულია კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები, ხოლო ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებისთვის. მონაცემთა რეგულარული განახლება და არქივირება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობასა და უწყვეტობას. მოქმედი პრაქტიკა იძლევა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სწრაფი მოძიება, ანალიზი და გამოყენება როგორც შიდა შეფასების, ისე გარე მონიტორინგისა და ავტორიზაციის პროცესებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ორივე სექტორის **საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების** კურიკულუმებში ასახულია ძირითადი ქართულენოვანი გრიფირებული სახელმძვანელო, აგრეთვე, დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. კურიკულუმების ნაწილი ითხოვს დამტებითი რესურსების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები/ინტერაქტიული სიმულაციები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზენტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქედან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:** • *<u>საბაზო საფეხურის ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-7 (I, II, V თემების ფარგლებში), მე-8 (IV თემის ფარგლებში), მე-9 კლასების (II, III, IV თემების ფარგლებში); ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული</u>*

	ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსებით, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით, (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა. • *საშუალო საფეხურზე ორივე სექტორის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-11 და მე-12 , ფიზიკის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით სწავლების ენების მიხედვით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.* • *სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის ორივე სექტორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი წესი.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, **(სამივე საფეხურსა და ორივე სექტორზე)** მთავარ რესურსად ძირითადად იყენებენ სახელმძღვანელოს, თუმცა გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ სასწავლო პროცესში წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ციფრული რესურსებიც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მე-7 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმები, სადაც ჩაშენებულია სასარგებლო საგანმანათლებლო ციფრული პლატფორმები. **(Canva და Padlet)** აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესში. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამხმარე რესურსების შერცევა ორივე სექტორზე, სამივე საფეხურზე თანამშრომლობით ხორციელდება და მათი მიზანშეწონილობის, სანდოობისა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის შეფასებაში მონაწილეობს მთელი კათედრა. რუსულ სექტორზე, სადაც რუსული ისწავლება როგორც უმცირესობათა ენა, მოსწავლეთა ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით გამოიყენება განსხვავებული და შესაბამის დონეზე მორგებული რესურსები, რაც ხელს უწყობს ენის უფრო საფუძვლიანად შესწავლასა და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე კურიკულუმებში თემების შესაბამისად გაწერილია და გამოიყენება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით. კათედრაზე ხდება იმ დამატებითი რესურსების შერჩევა, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. მასწავლებლები დამხმარე რესურსის სახით იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულად მუსიკის გაკვეთილების დროს, თემის შესაბამისად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს, როგორცაა: მოსასმენი მასალა, ინტერნეტრესურსები, ასევე ტელესკოლის ჩანაწერები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ორივე სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ

	რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** *სასურველია, ორივე სექტორზე სკოლამ კურიკულუმში ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**სწავლების ქართული და რუსული სექტორი_** სასკოლო კურიკულუმებში იკითხება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, თუმცა მათემატიკის კათედრაზე იყენებენ სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. აღნიშნული რესურსები სრულიად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის საინტერესოდ და შემოქმედებითად წარმართვას; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები (ქართულ და რუსულ ენაზე), რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. მასში ასახული თემები და საკითხები თანმიმდევრულად მიჰყვება ძირითად სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებთან. ძირითადი სასწავლო ლიტერატურის გარდა, შემოქმედებითი დავალებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ დამატებით ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამის საბუნებისმეტყველო საგნების - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ორივე სექტორისთვის ხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია არის იმის შემოწმება და დადასტურება, რომ დამხმარე წყაროები (წიგნები, ინტერნეტ წყაროები, ვიდეოები და ა.შ.) აკმაყოფილებს დადგენილ მიზნებს, ხარისხის სტანდარტებს და მოსწავლეების რეალურ საჭიროებებს.

	სასწავლო პროცესში გამოიყენება ის დამხმარე რესურსების წყაროები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ (**სამივე საფეხურსა და ორივე სექტორზე**) ისინი ამოწმებენ იმ რესურსების ხარისხს და მიზნობრიობას რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. აკვირდებიან აუმჯობესებს თუ არა ისინი სწავლების ხარისხს, შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო მიზნებს, წიგნების შემთხვევაში აქვს თუ არა მას გრიფი მინიჭებული, რამდენადაა ის სანდო და ასაკის შესაბამისი. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში კი უზრუნველყოფენ, რომ ისინი არ შეიცავდეს შეცდომებს, მიუღებელ კონტეტნტს ან არ იყოს დაბალი ხარისხის. **რჩევა: (ეხება რუსულ სექტორს)** *სასურველია, რომ ყველა კლასის, ყველა საგნის კურიკულუმებში დამატებით ჩაშენებული იყოს ლინკები, რომლებიც მეტად იქნება მორგებული რუსულენოვან სექტორს.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ორივე სექტორზე უცხოური ენების კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას კათედრის წევრთა თანამშრომლობის საფუძველზე, მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ რესურსის სანდოობას, შინაარსობრივ სიზუსტეს, მოსწავლეთა ასაკობრივ და ენობრივ დონესთან შესაბამისობას, სასწავლო მიზნებთან კავშირსა და პრაქტიკულ ღირებულებას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შერჩეული დამხმარე მასალები იყოს ხარისხიანი, უსაფრთხო და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ორივე სექტორის მასწავლებლების მიერ ხდება კათედრის სხდომაზე. კურიკულუმებში გარდა ძირითადი რესურსისა, თემების შესაბამისად გაწერილია დამატებითი დამხმარე რესურსებიც, მათ შორის ელექტრონულიც. ელექტრონული რესურსები მიწოდებული აქვთ სამინისტროს მიერ და იგულისხმება, რომ ვალიდურია. ასევე, იყენებენ სხვა ინტერნეტრესურსებსა და ტელესკოლის ჩანაწერებს. კათედრის სხდომის ოქმში დანართის სახით მოცემულია შერჩეული გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები. **რჩევა:** *სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **რჩევა:** *სასურველია, კათედრის დონეზე ორივე სექტორისათვის დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე . ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. ასევე, ერთობლივად, კათედრის სხდომაზე ხდება დამატეითი სასწავლო რესურსების შერჩავე. სამუშაო შეხვდრებზე კი, პერიოდულად, მიმდინარეობს მსჯელობა და ანალიზი რესურსების ეფექტიანობის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ასახული რესურსების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების, ინტერესებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ძირითადი გრიფირებული ლიტერატურის პარალელურად, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დამხმარე მატერიალური და ციფრული რესურსები, რომლებიც ზუსტად პასუხობს სასწავლო თემებსა და მიზნებს. ინტერვიუს ეტაპზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოქმედებს დამატებითი რესურსების შეფასების ეფექტიანი მექანიზმი- მოწმდება მათი შინაარსობრივი თავსებადობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მოსწავლეებზე ადაპტირების შესაძლებლობა და პრაქტიკული

	ღირებულება. აღნიშნული პროცესი სრულად უზრუნველყოფს გამოიყენებელი რესურსების ვალიდურობასა და სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის პედაგოგებთან საუბრისას და გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორია, სადაც ძირითადი საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება და მცირე ზომის ოთახი, სადაც საგაკვეთილო პროცესისთვის ხდება მომზადება და ინახება ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სასწავლო საშუალებები და დიდაქტიკური მასალები, აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი და სხვა. წარმოდგენილ ფოტომასალებზე დაყრდნობით ჩანს, რომ კლას-ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით, სადაც არის სადემონსტრაციო მაგიდა სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით. სკოლას ქართული სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამისათვის აქვს აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რეაგენტები, რითაც შესაძლებელია ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის მარტივი ექსპერიმენტების და პრაქტიკულების ჩატარება, ასევე სკოლაში არსებობს სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. კლას-ლაბორატორიას აქვს ინტერაქტიული დაფა, ეს ტექნოლოგიები აძლევს საშუალებას ვირტუალური და ვიდეო ექსპერიმენტების ჩატარებას, სრულყოფილად გამოიყენონ ინტერნეტ რესურსები გაკვეთილის მსვლელობის დროს. ლაბორატორიაში არსებობს სველი წერტილი ერთი ხელსაბანით, ასევე ხანძრის ქრობის ძირითადი აღჭურვილობა - ცეცხლმაქრი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები. მიუხედავად ზემოდ აღნიშნულისა სკოლის ლაბორატორია ითხოვს პერმანენტულად შევსებას, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა:

	• *სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პერმანენტულად შეივსოს: ახალი აღჭურვილობით, ქიმიური რეაგენტებით და სხვადასხვა მოწყობილობებით ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიული და პრაქტიკული საბუნებისმეტყველო საგნების კანონების ილუსტრირებისთვის. დამატებით შეიძინოს თვალსაჩინო მასალები, მაგალითად, ცხრილები, პლაკატები, სქემები, ატლასები, ვიდეომასალები ქართულ და რუსულ ენებზე; სკოლამ დაგეგმოს სპეციალიზებული ლაბორატორიული ავეჯის შეძენა, ლაბორატირიულ მაგიდებზე დამონტაჟდეს ნიჟარები ონკანიბით შესაბამისი და კანალიზაციის სისტემით.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სწავლა -სწავლება მიმდინარეობს ორ ენაზე და მოსწავლეთა რაოდენობაც არის თვალსაჩინო, **სამივე საფეხურსა და ორივე სექტორზე** სკოლა ახერხებს მოსწავლეებს შესთავაზოს ყველა შესაბამისი მატერიალური რესურსი, რაც შესაძლებლობას იძლევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იყოს უზრუნველყოფილი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრაზე, ორივე სექტორზე, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე, კურიკულუმებში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა: გრიფირებული სახელმძღვანელოები,

	მოსასმენი მასალები. ვინაიდან ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს, მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, ასევე, ჭკვიანი დაფები, რომელთა რაოდენობა შეესაბამება ნორმებს და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ორივე სექტორზე უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს სწავლის პროცესში, მიიღოს ხარისხიანი განათლება, ხოლო პედაგოგს უადვილებს ინდივიდუალურ მიდგომებს, ასევე მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას გააჩნია დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. ასევე, სკოლას აქვს ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში (მაგ., ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის ბურთები, ნიშნულები, თარჯები, სახელურიანი ტაიჭი, სატანვარჯიშო

	კედელი, ტანვარჯიშული ლეიბები, ჩოგბურთის მაგიდა, ჩოგნები. ჰულა-ჰოპები და სხვ.) საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელშემწყობ გარემოს ქმნის ეფექტიანი სწავლებისა და მოსწავლეთა ჩართულობისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას. პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა და თემის საჭიროებებს და რესურსების სიმწირის მიუხედავად ქმნიან თანამშრომლობაზე, შემოქმედებითობასა და მოსწავლეთა ჩართულობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს. სკოლაში არსებული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას, ისე ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ კონტექსტთან შესაბამისი აქტივობების განხორციელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

დოკუმენტაციაში კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს რამდენიმე ეტაპს. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესებზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობები. მონიტორინგი მიმართულია იმის დადგენისკენ, მიმდინარეობს თუ არა ორივე სექტორზე სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, ხოლო შეფასება განსაზღვრავს, რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევას. კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს, სადაც მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს დანერგვის ეტაპის განუყოფელ ნაწილს. პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელი პირები: მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის აღწერასა და კოლეგებისთვის გაზიარებას, რაც ხელს უწყობს მონაცემთა ბაზის განახლებას, ასევე აქტიურად მონაწილეობს კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესის ანალიზში და ითვალისწინებს რეკომენდაციებს; კათედრის თავმჯდომარე აგროვებს პედაგოგების მიერ მოწოდებულ მასალებს, ორგანიზებას უწევს კათედრის შეხვედრებს, სადაც ხდება არსებული გამოწვევების განხილვა და ინოვაციების დანერგვა, ამასთან, წარმოადგენს საკომუნიკაციო რგოლს დირექციასა და პედაგოგებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად უნდა ითქვას, რომ მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევები, ხოლო შეფასების ეტაპზე ხდება მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შედეგებზე ზემოქმედების განსაზღვრა. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და მოქმედების გეგმებს, რომლებიც მიმართულია როგორც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისკენ, ასევე მოსწავლეთა შედეგების ამაღლებისკენ. პრობლემების გადაჭრის მექანიზმები მოიცავს სწავლების სტრატეგიების მოდიფიცირებას, დამატებითი რესურსების მობილიზებას, ინდივიდუალური მხარდაჭერის გაძლიერებას და პედაგოგთა პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება კათედრების, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კოორდინირებული თანამშრომლობით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება, როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის ნაწილი, ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ეს პროცესი მრავალ დონეზე ხორციელდება და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის

მუდმივ გაუმჯობესებას. მონიტორინგის პროცესი მასწავლებლებს აძლევს საშუალებას, გააანალიზონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. კათედრის სხდომებზე ხდება პრობლემური საკითხების შესწავლა, ინოვაციების დანერგვა და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება. დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და შემუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. ასევე, დირექტორის მოადგილე ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. მონიტორინგის საშუალებით გროვდება მონაცემები მოსწავლეების მიღწევების შესახებ. ეს მონაცემები ეხმარება მასწავლებლებს და კათედრებს, გააანალიზონ და შეაფასონ სასწავლო პროცესი და იმსჯელონ, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინტერვიუები მასწავლებლებთან;
- ინტერვიუები დირექციასთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ორივე სექტორზე ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, სრულყოფილ და სანდო შედეგებს. შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება

მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემით, არამედ მოიცავს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს, მათ შორის: მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამსახველ ნამუშევრებს, ტესტებისა და დავალებების შედეგებს, პროექტებს, პორტფოლიოებს, დაკვირვების ჩანაწერებსა და პედაგოგთა პროფესიულ ანალიზს. დამატებით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსურ შეფასებას, ასევე სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტეს, სამართლიანობასა და შედეგების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესის განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს (ცოდნის დონე, უნარები, სწავლის ტემპი), ისე სასწავლო გარემოს, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და საგნობრივ სპეციფიკას. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო მიზნები, სასწავლო სტანდარტები და კონკრეტული აქტივობების მიზნობრიობა. მრავალკონტექსტური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, შეფასება არ იყოს ერთგანზომილებიანი, არამედ ასახავდეს მოსწავლის განვითარების დინამიკას სხვადასხვა პირობებში. ეს ხელს უწყობს უფრო ზუსტ ანალიზს, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან გაუმჯობესებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მოქნილი, ობიექტური და მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტისა და ფორმატის გამოყენებით, მათ შორის: წერითი და ზეპირი დავალებები, ტესტირება, პროექტული და კვლევითი საქმიანობა, პორტფოლიოები, დაკვირვება, თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. აღნიშნული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სხვადასხვა აქტივობასა და გარემოში. მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი ან ერთმხრივი, არამედ ასახავდეს მოსწავლის განვითარების პროცესს დინამიკაში. ამასთანავე, მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური პროგრესის გასაანალიზებლად, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მოსწავლეთა საბოლოო აკადემიურ შედეგებს, არამედ მათი განვითარების დინამიკას, ინდივიდუალურ პროგრესს, წინარე ცოდნასა და უნარების ფორმირების პროცესს. პარალელურად, გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასწავლო მიზნების შესაბამისობა, დავალებების შინაარსობრივი და კოგნიტური სირთულე, ასევე შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა.
მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კონტექსტუალურ ფაქტორებსაც, მათ შორის სასწავლო გარემოს, მოსწავლის სოციალურ და ემოციურ მდგომარეობას, ჩართულობის ხარისხსა და სასწავლო პროცესში გამოვლენილ აქტივობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი და ფორმალური აქტივობა, არამედ წარმოადგენდეს უწყვეტ, მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც ასახავს მოსწავლის სრულყოფილ სურათს.
მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გზის დაგეგმვისთვის, ისე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და ადაპტირებისთვის. შედეგად, შეფასება იქცევა არა მხოლოდ შედეგის ფიქსირების ინსტრუმენტად, არამედ განვითარების ხელშემწყობ ეფექტიან მექანიზმად, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მასწავლებელთა ინტერვიუები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლეებთან ინტერვიუები;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. დოკუმენტში აღწერილია სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც მოიცავს: სასკოლო კურიკულუმის არსსა და ფუნქციებს; სისტემური დონის რეგულაციებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პიროვნებებს, როგორებიც

არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილეები; პროცესში ჩართულ მხარეებს, როგორებიც არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია; კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპებს: შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, გადასინჯვასა და რევიზიას; კავშირს სხვა დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის განვითარების პროცესი უწყვეტია და სკოლა ვალდებულია, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის რევიზიისას ანალიზდება ორივე სექტორზე დაგროვილი პრაქტიკა, განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობა და მოსწავლეთა მიღწევები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებს, რომლებიც ასახავს როგორც ძლიერ მხარეებს, ისე გასაუმჯობესებელ მიმართულებებს. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო მიზნების, შინაარსის, მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების დასახვეწად. გადამუშავების პროცესი ხორციელდება კოლეგიალური ჩართულობით, სადაც მონაწილეობენ ადმინისტრაცია, პედაგოგები და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები. განხილვისას ხდება რეკომენდაციების შემუშავება და მათი ინტეგრირება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას როგორც ეროვნულ სტანდარტებთან, ისე სასკოლო საჭიროებებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები.*

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ქართულენოვანი)*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(რუსულენოვანი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

20.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: